

თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი - მცირე რეპროსენტაცია

ირაკლი იმედაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წელს 40 წელი შესრულდა მას მერე, რაც თბილისში გაიმართა არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილი მასშტაბური საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმს დიდი რეზონანსი მოჰყვა სამეცნიერო საზოგადოებაში. მისი მონაწილენი განიხილავდნენ ამ პრობლემის თითქმის ყველა ძირითად ასპექტს. გაიმართა ფსიქოანალიზისა და დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ნაყოფიერი დიალოგი. მოცემულ წერილში დახასიათებულია არაცნობიერის პრობლემისადმი ამ ორი მიდგომის განმასხვავებელი მთავარი მომენტები; ასევე განხილულია ამ სამეცნიერო ფორუმის მომზადებისა და ჩატარების ზოგიერთი დეტალი. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, თუ რატომ იქნა არჩეული ამ სიმპოზიუმის ჩატარების ადგილად თბილისი. ამ კონტექსტში ნაჩვენებია, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორია იყო ერთადერთი ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია ე.წ. საბჭოთა ფსიქოლოგიაში, რომელშიც მოცემულია შეხედულებათა მწყობრის სისტემა არაცნობიერი ფსიქიკის ბუნებისა და ფუნქციონირების წესის თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: თბილისის სიმპოზიუმი, არაცნობიერი, ფსიქოანალიზი, განწყობის თეორია

სამეცნიერო, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური საზოგადოებრიობისთვის საქართველო ცნობილია დიმიტრი უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა მის მიერვე დაარსებული სამეცნიერო სკოლის ფარგლებში. ქართველმა ფსიქოლოგებმა მრავალ საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმს უმასპინძლეს, მაგრამ მათ შორის მაინც გამოსარჩევია არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც გაიმართა თბილისში 1979 წლის ოქტომბერში. მასში მონაწილეობდა 150-მდე სტუმარი 17 ქვეყნიდან, და მათზე მეტი - საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან. ეს რიცხვები დღეს შეიძლება დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდეს, მაგრამ, იმ ეპოქის გათვალისწინებით, როდესაც „რკინის ფარდა“ ჯერ კიდევ საკმაოდ მყარად იყო ჩამოფარებული, ისინი ამ სამეცნიერო ფორუმს მართლაც გრანდიოზულ მოვლენად აქცევდნენ. ამასთან, სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ სტუმრები არა მხოლოდ „სოციალისტური ბანაკიდან“,

არამედ - დასავლეთის ქვეყნებიდან (ავსტრია, აშშ, დასავლეთი გერმანია, ინგლისი, ირლანდია, იტალია, კანადა, საფრანგეთი). კიდევ ერთი გამორჩეული მომენტი ისაა, რომ თბილისს ესტუმრა ფსიქოანალიზური ორინტაციის მრავალი მკვლევარი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფსიქოანალიზი თითქმის ყოველთვის და მაშინაც „საბჭოთა ფსიქოლოგიის“ უმთავრეს იდეოლოგიურ „საფრთხობელად“ რჩებოდა, ეს სიმპოზიუმი მართლაც არნახულ და უნიკალურ მოვლენად აღიქმებოდა.

სიმპოზიუმის მოსამზადებელი პერიოდი 5 წელიწადს გაგრძელდა. ტიტანური შრომის შედეგად, სიმპოზიუმის დაწყებამდე, 1978 წელს, გამოიცა მასალების კაპიტალური კრებული სამ ტომად თ. ბასინის, ა. შეროზიას და ა. ფრანგიშვილის რედაქტორობით (ისინი სიმპოზიუმის თავმჯდომარეებიც იყვნენ) (Prangishvili, Sherozia & Bassin, 1978). 1985 წელს გამოიცა IV ტომი, რომელშიც თავმოყრილი გამოკვლევები, ძირითადად, რეაქცია იყო ხსენებული სამტომეულის მასალებსა და სიმპოზიუმის შთაბეჭდილებებზე (Prangishvili, Sherozia & Bassin, 1985). ამ ოთხტომეულს დღესაც არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო ღირებულება. ეს, უწინარესად, იმითაა გამოწვეული, რომ მასში წარმოდგენილია არაცნობიერის პრობლემატიკის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი, დაწყებული პრინციპული თეორიული მოსაზრებებიდან არაცნობიერის ბუნების შესახებ, დამთავრებული მისი კვლევის საერთო მეთოდოლოგიითა და კონკრეტული მეთოდური მიდგომებით. არაცნობიერის პრობლემატიკა მრავალი თვალსაზრისითაა განხილულია, კერძოდ, არაცნობიერის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები, არაცნობიერის პრობლემის კლინიკურ-პათოლოგიური ასპექტები, არაცნობიერი და ცნობიერების შეცვლილი მიდგომარეობები (ძილი და სიზმარი, ჰიპნოზი), არაცნობიერი და პიროვნება, არაცნობიერი და მეტყველება, არაცნობიერი და შემოქმედება და ა.შ.

თბილისის სიმპოზიუმი ბოსტონის 1910 წლის სიმპოზიუმის შემდეგ მეორე საერთაშორისო ფორუმი იყო, რომელზეც ასე ღრმად განხილვებოდა არაცნობიერის პრობლემის ფუნდამენტური საკითხები. ბოსტონის განხილვებში მონაწილე იმ დროის თვალსაჩინო მეცნიერებმა გამოთქვეს სხვადასხვა შეხედულება არაცნობიერის რაობის თაობაზე, თუმცა მათ აერთიანებდათ ერთი რამ – არაცნობიერის ფროიდისეული გაგების მიუღებლობა (Бассин, 1968). ბოსტონის შეხვედრაზე თავად ფროიდი ან მისი მიმდევრები არ მიუწვევიათ. თბილისის სიმპოზიუმზე - პირიქით - ფსიქოანალიზის სხვადასხვა მიმართულება ერთობ სოლიდურად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამ სწავლულებთან უშუალო დიალოგი და პოლემიკა გახლდათ ალბათ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი. ფსიქოანალიზის ძირითადი ოპონენტი უზნაძის განწყობის თეორია იყო. საერთოდ იმ დროისთვის ეს თეორიული სისტემა, ფაქტობრივად, ფსიქოანალიზის საბჭოთა ალტერნატივად მიიჩნის (Brozek, & Slobin, 1972; Graham, 1987). სწორედ ამან განაპირობა, პირველ ყოვლისა, ის, რომ ეს სიმპოზიუმი თბილისში ჩატარდა. მაგრამ იმისთვის, რომ უზნაძის შეხედულებებს სათანადო აღიარება მოეპოვებინა საბჭოთა ფსიქოლოგიის ფარგლებში, მისი სკოლის წარმომადგენლებს დიდი ძალისხმევა და ბრძოლა დასჭირდათ.

1950-1960-იან წლებში გამართულ საჯარო დიკუსიებსა და პოლემიკურ წერილებში ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე განხილვებოდა განწყობის თეორიის მეცნიერული და, უფრო მეტად, იდეოლოგიური სტატუსი (Богданчиков,

2015). მეცნიერული ღირებულება აშკარა იყო, განწყობის თეორიის მარქსისტულობა კი დიდ ეჭვს იწვევდა იდეოლოგიაში განაფულ კოლეგებში და, უნდა ითქვას – არც თუ უსაფუძვლოდ. მართლაც, ე.წ. „საბჭოთა ფსიქოლოგიის“ საფირმო ნიშანი ის იყო, რომ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიას ეფუძნებოდა. განწყობის თეორიაზე ამის თქმა არ შეიძლება. „როგორც თავისი წარმოშობით (არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტკიცოთ, რომ განწყობის ფსიქოლოგია აღმოცენდა მარქსიზმის ფილოსოფიის პრინციპების საფუძველზე), ისე შინაარსობრივად ეს მიმართულება წარმოიქმნა და საკმარისად დიდ ხანს ვითარდებოდა მარქსიზმისგან დამოუკიდებლად <...> შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მარქსიზმის გარკვეულ „ჩანარებზე“ შემდგომ, როდესაც განწყობის ფსიქოლოგია უკვე გაფორმდა განვითარებული თეორიისა და სკოლის სახით“ (Богданчиков, 2014, с.132-133). ამ სკოლის უნიკალურობა ყველაფერ სხვასთან ერთად მისი - განწყობის თეორიის - უკიდურესად სუსტად იდეოლოგიზებული კონცეპტუალური ბაზაა. უზნაძის სამეცნიერო შემოქმედება ოფიციალურ საბჭოთა იდეოლოგიასთან მინიმალური კომპრომისის მაგალითია. ასეა თუ ისე, უზნაძის მიმდევრებმა ხსენებულ დისკუსიებში მოახერხეს განწყობის თეორიის „შეფუთვა“ იდეოლოგიურად გამართული ფორმულირებებით, და სკოლამ განაგრძო წარმატებული ფუნქციონირება, თუმცა იყო სავსებით რეალური საფრთხე მისი განადგურებისა (საბჭოთა ფროიდიზმის, პედოლოგიის თუ ფსიქოტექნიკის მსგავსად) (Имедадзе, 2015).

აღიარებისა და ლეგიტიმიზების შემდეგ განწყობის თეორიამ დაიკავა გარკვეული ნიშა და შეავსო ის ხარვეზი საბჭოთა ფსიქოლოგიაში, რომელიც აღმოცენდა არაცნობიერის კატეგორიის დაუმუშავებლობის გამო. გარკვეული პირობითობით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის შესწავლის არე ოთხ უმთავრეს კატეგორიას გულისხმობს: ქცევა, პიროვნება, ცნობიერება და არაცნობიერი. სრულფასოვანი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია მათ აუცილებლად უნდა მოიცავდეს. ძირითადი საბჭოთა თეორიული სისტემები არსებითად პირველი სამით შემოიფარგლებოდნენ. არაცნობიერი ფსიქიკურ ან ფიზიოლოგიურ პროცესებთან ასოცირდებოდა, ან უბრალოდ მისი არსებობის კონსტატაცია ხდებოდა. მაგალითად, არაცნობიერისადმი მიძღვნილ წერილში ლ. ვიგოტსკი არსებითად მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკას, როგორც რთულ, ერთიან ფსიქოფიზიოლოგიურ პროცესს, „რომელიც სრულებით არ იფარება მისი ცნობიერი ნაწილით და, ამდენად <...> ფსიქოლოგიაში სავსებით კანონიერია ვილაპარაკოთ ფსიქოლოგიურ არაცნობიერზე: არაცნობიერი არის პოტენციურად-ცნობიერი“ (Выготский, 1982, с. 14). ლ. ვიგოტსკის მრავალ მიმდევარს უკვე შეეგნო, რომ, არაცნობიერის კატეგორიის გარეშე, ზოგადფსიქოლოგიური სისტემა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. ცოტა ხნის წინათ ძალიან კარგმა მკვლევარმა, ე. ზავერშნევამ უდიდესი ძალისხმევა გასწია, რათა ვიგოტსკის გამოქვეყნებულ შრომებსა და საარქივო მასალებში მიეკვლია გარკვეული შეხედულებისათვის არაცნობიერის ბუნების შესახებ, მაგრამ - ფაქტობრივად, უშედეგოდ (Завершнева, 2017). რაც არ არის, იმას ვერ აღმოაჩენ. იგივე ითქმის ა. ლეონტიევისეულ ქმედების თეორიაზეც.

ს. რუბინშტეინის შეხედულებები არაცნობიერის შესახებ უფრო კონკრეტულია, ვიდრე ვიგოტსკისა, მაგრამ ვერც მათ მივიჩნევთ სპეციალურ თეორიად. მეცნიერის

აზრით, არაცნობიერის ცნება გულისხმობს „განცდას, რომელშიც არ არის გაცნობიერებული მისი გამომწვევი საგანი“ (Рубинштейн, 1940, с. 8). მაგალითად, ემოციის არაცნობიერობა გამოვლინდება მიკუთვნების არარსებობაში იმ საგნისა თუ პირის მიმართ, რომელმაც იგი გამოიწვია. მოკლედ, თუ მე თავს ცუდ ხასიათზე ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რითაა ეს გამოწვეული, მოცემული მდგომარეობა კვალიფიცირდება, როგორც არაცნობიერი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ფროიდიც და უზნაძეც არაცნობიერის ასეთ გაგებას ცნობიერებაში არაცნობიერის ძიების უნაყოფო მცდელობად მიიჩნევენ.

მოკლედ, არ არსებობდა არაცნობიერის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია. საბჭოთა ფსიქოანალიზის ლიკვიდაციის შემდეგ წარმოდგენათა გამართულ სისტემას არაცნობიერის, როგორც მთელი ფსიქიკური ცხოვრების საფუძვლის, შესახებ მხოლოდ უზნაძის და მისი სკოლის შრომები შეიცავდა (Angelini, 2008). ეს პირველმა თ. ბასინმა გააცნობიერა სათანადოდ (Басин, 1968). ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ სწორედ იგი გახდა ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი არაცნობიერის შესახებ კონფერენციის თბილისში ჩატარებისა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ა. შეროზიაც, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ გრანდიოზული მასშტაბის სამეცნიერო ფორუმის ორგანიზაციაში.

დ. უზნაძემ ფროიდის შეხედულებების კრიტიკული ანალიზი თავისი თერიული სისტემის ქმნადობის პირველივე ეტაპზე 1920-იან წლებში წამოიწყო და უკანასკნელ წიგნებშიც განაგრძობდა (უზნაძე, 2004). ეს ბუნებრივია, რამდენადაც არაცნობიერის კატეგორია მისთვის ცენტრალურია, ხოლო ფსიქოანალიზი ჯერ კიდევ მაშინ არაცნობიერის ყველაზე სერიოზული კონცეფცია იყო. სპეციალურ აღნიშვნას იმსახურებს ის, რომ, განსხვავებით თავისი რუსი (საბჭოთა) კოლეგების უმეტესობისგან, უზნაძის კრიტიკული ანალიზი საერთოდ თავისუფალია იდეოლოგიური შეფასებებისგან და მხოლოდ მეცნიერულ, ლოგიკურ არგუმენტაციაზეა დაფუძნებული (იმედაძე, 2013).

უკიდურესად მოკლედ და სქემატურად საქმის ვითარება ასეთი გახლდათ. უზნაძე ეძებს ფსიქიკის განვითარების პირველ საფეხურს, რომელიც წინ უსწრებს და განაპირობებს მთელ მენტალურ აქტივობას. აქ იგულისხმება როგორც ჩვეულებრივი განცდები (ფსიქიკური პროცესები), ისე - ცნობიერება. ფროიდის მოძღვრების ყველაზე სუსტი ადგილი ის არის, რომ მასში არაცნობიერი მხოლოდ ნეგატიურად, როგორც ცნობიერების უარყოფაა დახასიათებული. ფროიდის არაცნობიერი იგივე ცნობიერი განცდებია, რომლებიც განიღვენა ცნობიერებიდან და მათ ახლა ცნობიერებას მოკლებული განცდის ფორმა მიუღიათ. მათი შინაგანი ბუნება და სტრუქტურა ცნობიერების იგივეობრივია. ასეთი არაცნობიერი ისეთივე ფსიქიკური განცდაა, მინუს ცნობიერება. ეს პოზიცია, ფაქტობრივად, არაგანცდადი განცდის დაშვების ტოლფასია, რაც, უზნაძის აზრით, ნონსენსია. ამგვარი არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის შესაძლებლობას უზნაძე კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ აქ ჩნდება არსებითი ხასიათის ახალი მომენტები. კერძოდ, უზნაძეს მიაჩნია, რომ ფროიდისეული არაცნობიერის გაგება მართებულიც რომ იყოს, მას ვერ გამოიყენებ ფსიქიკის განვითარების საკითხის გადასაჭრელად. როგორც ცნობილია, სწორედ ეს საკითხი გახდა უზნაძისთვის ბოლო პერიოდში უმთავრესი. მისი გადაჭრა მოითხოვს ფსიქიკის „რალაცნაირი“ სახეობის დაშვებას, რომელიც განსხვავდება ფსიქიკის

ჩვეულებრივი ცნობიერი თუ არაცნობიერი ფორმებისგან (ანუ განცდებისგან), წინ უსწრებს და განსაზღვრავს მათ ფილოგენეზში, ონტოგენეზში და აქტუალგენეზში. რაკი რეპრესირებული არაცნობიერის პირველწყარო, მისი წამოქმნის პირობა ცნობიერებაა, ამიტომ ცნობიერების განვითარებას იგი ვერ აგვიხსნის; ფსიქიკური ორგანიზაციის საძიებელ პირველად ფორმად იგი ვერც ლოგიკურად გამოდგება და ვერც ფაქტობრივად.

მიუხედავად ამ თეორიული წუნისა, ფსიქონალიზს უეჭველი პრაქტიკული მიღწევები აქვს. უზნაძის აზრით, წარმატებული მკურნალობისას ფროიდი მართლაც ახერხებდა შეხებოდა იმას, რაც განსაზღვრავს ნევროზული სიმპტომების წარმოქმნას. მაგრამ დაავადების ქეშმარიტ მექანიზმს იგი ვერ ხედავდა, და ახასიათებდა მას მხოლოდ უარყოფითად, როგორც განდევნილ არაცნობიერ განცდებს. სინამდვილეში ფსიქონალიზურ თერაპიას საქმე აქვს განწყობასთან, რადგან სწორედ ის არის რეალური არაცნობიერი ფსიქიკური ფაქტი.

ასეთია ფსიქონალიზის უზნაძისეული შეფასება. მას აქვს როგორც კრიტიკული, ისე პოზიტიური ნაწილი. ერთი მხრივ, ნაჩვენებია არაცნობიერის ფროიდისეული გაგების უმართებულობა, რაც იმით გამოიხატება, რომ: 1. დაშვებულია ფსიქიკაში ცნობიერების ველის მიღმა არსებული და მოქმედი განცდების არსებობა და 2. არაცნობიერი სფერო გაიგივებულია რეპრესიულ ფსიქიკასთან, რომელიც ცნობიერებიდანაა ნაწარმოები, და ვერ გამოდგება ფსიქიკის განვითარების ფაქტის დასაბუთებისთვის. მეორე მხრივ, განწყობის სახით, მითითებულია ცნებაზე, რომელიც მას უნდა ჩაენაცვლოს. საზოგადოდ, უზნაძე არაცნობიერს განწყობასთან აიგივებს და იმასაც კი ამბობს, რომ არაცნობიერი ზედმეტი ცნებაა და რომ იგი სავსებით შეიძლება შეიცვალოს მეტი გარკვეულობის მქონე განწყობის ცნებით. უზნაძის ბოლო წიგნის ერთ-ერთი ქვეთავი ასეა დასათაურებული: „არაცნობიერი ზედმეტი ცნება“ (უზნაძე, 2004).

უნდა ითქვას, რომ ამ მტკიცების კატეგორიულობა გარკვეულ დაძაბულობას იწვევს. აშკარაა, რომ არაფენომენალური და არაცნობიერი განწყობა ვერ მოიცავს არაცნობიერი მოვლენების მთელ ველს. სხვა თუ არაფერი, ხომ არსებობს ცხოველთა ფსიქიკა, მათ აქვთ განცდები, მაგრამ არ გააჩნიათ ცნობიერება. ასევე არსებობს თვით უზნაძის მიერ აღწერილი ფსიქიკური ცხოვრების პირველი, იმპულსური ქცევის დონე, რომელიც ცნობიერების (ობიექტივაციის) გარეშე ხორციელდება და თავადვე საჭიროებს განწყობისეულ საფუძველს. მაშასადამე, არაცნობიერი არ ყოფილა ზედმეტი ცნება. ამის გათვალისწინებით, განწყობის თეორიაზე დაფუძნებით, საჭიროა არაცნობიერი სფეროს მოვლენათა ისეთი კლასიფიკაცია შეიქმნას, რომელიც მოიცავს როგორც განცდად, ისე - არაგანცდად ფენომენებს (Imedadze, 2017).

ამრიგად, უზნაძისთვის არაცნობიერის პრობლემა არსებითად არაფენომენალური ფსიქიკის დასაბუთების სახეს იღებს. ეს პრინციპულად განასხვავებს მას ფსიქონალიზური მიდგომისგან, რომელიც არაცნობიერის დახასიათებისას ცნობიერებისთვის ცნობილი, ჩვეულებრივი კერძო განცდების ენაზე ლაპარაკობს. უზნაძისეული განწყობის შემთხვევაში კი სხვა ონტოლოგიური სინამდვილე, სრულიად სხვაგვარი ფსიქიკაა პოსტულირებული. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ უზნაძის განწყობის და ფროიდის არაცნობიერის ცნებები სრულიად განსხვავებული თეო-

რიული სისტემების საკვანძო კატეგორიებია და მხოლოდ ამ სისტემის მთელი კონსტრუქციის კონტექსტში აქვთ აზრი. ამიტომ შეუძლებელია, უბრალოდ აიღო და შეცვალო ფსიქონალიზური არაცნობიერი განწყობით. ყოველ შემთხვევაში თბილისის სიმპოზიუმზე განწყობის ცნება განიხილებოდა, როგორც ფსიქონალიზური არაცნობიერის ჩვენი (საბჭოთა) ალტერნატივა.

ყოველივე ეს სერიოზულად ართულებს ამ კონცეფციას და დიალოგს. ამას ისიც ემატებოდა, რომ ფსიქონალიზის და სიღრმისეული ფსიქოლოგიის სხვა მიმართულებათა წარმომადგენლების მეტი წილი თვით სიმპოზიუმის მსვლელობაში ეცნობოდა განწყობის თეორიას, ბევრისთვის იგი ნამდვილ აღმოჩენად იქცა. თუმცა იყვნენ საქმეში კარგად ჩახედული მკვლევრებიც, რომლებიც თავისებურად ჭვრეტდნენ ამ მოძღვრებათა ურთიერთმიმართებას (Ansbacher, 1978; Chertok, 1981; Rollins, 1978). ბოლოსდაბოლოს, არც არავინ მოელოდა, რომ სიმპოზიუმი არაცნობიერის პრობლემას გადაწყვეტდა და მონაწილე მხარეები თავიანთ პრინციპულ პოზიციებს შეიცვლიდნენ. მაგრამ ის, რომ არაცნობიერთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებასა და საკითხზე მსჯელობა უთუოდ სასარგებლო იყო ყველასთვის – ეს სიმპოზიუმის ყველა შეფასებიდან ჩანს. ამდენად, შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ სიმპოზიუმი უდავოდ წარმატებული იყო. მხოლოდ ხსენებული ოთხტომეული რად ღირს! იგი ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მშენებელ რჩება და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. სიმპოზიუმმა ძლიერი ბიძგი მისცა არაცნობიერისადმი ინტერესის გაღვივებას საბჭოთა კავშირში (Angelini, 2008). ძალიან გაიზარდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ცნობადობა და, შესაძლოა, მან თავის პიკსაც კი მიაღწია. სიმპოზიუმის მომდევნო ათწლეულში ქართული ფსიქოლოგიური სკოლა მართლაც საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. სამწუხაროდ, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ძირითადად ნეგატიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პროდუქტიულობა, და შესაბამისად, საერთაშორისო ცნობადობა მკვეთრად დაქვეითდა.

სიმპოზიუმს ფართოდ გამოეხმაურნენ ფსიქოლოგიურ და უფრო ფართო სამეცნიერო საზოგადოებაში. მისი შედეგები განიხილეს სპეციალურად ორგანიზებულ თათბირზე სან-ფრანცისკოში (1980 წ.), აგრეთვე - გერმანიის ფსიქონალიზის აკადემიის საერთაშორისო კონფერენციაზე მიუნჰენში (1980 წ.) და ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის ყრილობაზე ნიუ-ორლეანში (1981 წ.) (Бахтадзе-Шерозия, 1985).

სიმპოზიუმის მრავალი გამოძახილიდან მხოლოდ ორს მოვიყვანთ. თავის წერილში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელზე გამოჩენილი ლინგვისტი და ფსიქოლინგვისტი, რ. იაკობსონი ამბობს: „ამიერიდან ქართული ფსიქოლოგიური სკოლა მისი შესანიშნავი განწყობის თეორიით მყარად და მეთოდურად შევიდა საერთაშორისო იდეურ სივრცეში <...> პირადად ჩემთვის ეს სიმპოზიუმი სამუდამოდ დარჩება ღრმა, დაუვიწყარ შთაბეჭდილებად“; ფსიქონალიზის გერმანული აკადემიის პრეზიდენტის, გ. ამონის აზრით „სიმპოზიუმის შედეგები გამოვლინდება უახლოეს ხანებში ერთობლივი და ურთიერთმაკორეგირებელი სამუშაოს შესაძლებლობის სახით. დიმიტრი უზნაძის სკოლამ აუცილებლად უნდა შეასრულოს თავისი დადებითი როლი და მოახდინოს გავლენა დასავლურ ფსიქონალიზზე, ხოლო

ფსიქონალიზი მას, თავის მხრივ, შეიძლება დაეხმაროს ათნლეულების განმავლობაში დაგროვილი ფაქტებით“ (Бахтадзе-Шерозия, 1985, с.146).

დასარულ, უნდა ითქვას, რომ, არაცნობიერის კატეგორიის დამუშავების თვალსაზრისით, მთელ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ჩავარდნაა. ფსიქონალიზის, სილრმისეული ფსიქოლოგიის სხვა კონცეფციებისა და უზნადის თეორიის გარდა (შესაძლოა, პ. ჟანეს შეხედულებათა გამოკლებით), ჩვენ ვერსად ვხვდებით შეხედულებათა მწყობრ სისტემას, რომელშიც დამუშავებულია საკითხების ფართო წრე არაცნობიერის ბუნებისა და ფუნქციონირების ნესის შესახებ. თანამედროვე აკადემიური ფსიქოლოგია საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი ფსიქონალიზის მიმართ, მაგრამ პოზიტიურს მას ვერაფერს უპირისპირებს. დღეს გაბატონებული კოგნიტივიზმი არსებითად იზღუდება სუბენსორიკის ან პერცეპტული თავდაცვის ცალკეული ფენომენების შესწავლით და მორიდებული განცხადებებით იმის თაობაზე, რომ კოგნიტიური აქტივობა მეტწილად არაცნობიერად მიმდინარეობს (რაც ასზე მეტი წლის წინათ უკვე კარგად იცოდნენ ვიურცურგელებმა). ამ ფონზე უზნადის სკოლაში ათნლეულობით მიმდინარე ფსიქიკური პროცესებისა და ქცევის არაცნობიერი რეგულაციის სისტემატური თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა შეიძლება ერთობ სასარგებლო აღმოჩნდეს. მეტიც: ეს კვლევა უთუოდ უნდა გაგრძელდეს, რამდენადაც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიული სისტემის პოტენციალი სრულებითაც არ ამოწურულა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- უზნაძე დ. (2004). განწყობის ფსიქოლოგია. თბილისი: კოლორი.
- იმედაძე ი. (2013). ფსიქონალიზისა და განწყობის თეორიის შედარებითი ანალიზი / ი. იმედაძე თეორიული ფსიქოლოგია. თბილისი: Capre diem.
- Бассин, Ф. В. (1968). Проблема бессознательного. Москва: Медицина.
- Бахтадзе-Шерозия, Н. В. (1985). Тбилисский международный симпозиум по проблеме бессознательного / Prangishvili A.S., Sherozia, A.E., & Bassin F.V. (Eds.). The unconscious: nature, functions, methods of study. Vol. IV (pp. 140-148). Tbilisi: Metsniereba.
- Богданчиков, С. А. (2014). Школа Узнадзе в системе советской психологии // Вопросы психологии, 3, 131-141.
- Богданчиков, С. А. (2015). Школа Узнадзе в контексте советской психологии // Вопросы психологии, 5, 106-116.
- Выготский, Л. С. (1982). Психика, сознание, бессознательное. Собрание сочинений: В 6 т. Т.1. (С. 132-148). Москва: Педагогика,
- Завершнева, Е. Ю. (2017). К определению понятия «бессознательное» в культурно-исторической психологии Л. С. Выготского // Вопросы психологии, 3, 102-118.
- Имедадзе И. В. (2015). Школа Узнадзе: штрихи к истории // Вопросы психологии, 2, 120-130.
- Рубинштейн С. Л. (1940). Основы общей психологии. Москва: Гос. Уч.-Пед. Изд-во.
- Angelini, A. (2008). History of the unconscious in Soviet Russia: from its origins to the fall of the Soviet Union // The International Journal of Psychoanalysis. 89 (2), 369-88.

- Ansbacher, H. L. (1978). Alfred Adler's views on the unconscious / Prangishvili A. S., Sherozia A. E., & Bassin F. V. (Eds.). *The unconscious: nature, functions, methods of study*. Vol. I (pp. 370-383). Tbilisi: Metsniereba.
- Brozek, J., & Slobin D. I. (1972). *Psychology in the USSR: a historical perspective*. New York: International Arts and Sciences Press.
- Chertok, L. (1981). Reinstatement of the concept of the unconscious in the Soviet Union // *The American Journal of Psychiatry*, 138 (5), 575-583.
- Imedadze I. (2017). Theory of set and types of unconscious psyche / *Proceedings of 6rd International Conference on the The Current Issues in Theoretical and Applied Psychology* (pp. 690-694). Erevan: Edit Print.
- Graham L. R. (1987). *Science, philosophy and human behavior in the Soviet Union*. New York: Columbia University Press.
- Prangishvili, A. S., Sherozia, A. E., & Bassin F. V. (Eds.) (1978). *The unconscious: nature, functions, methods of study*. Vol. I,II,III. Tbilisi: Metsniereba.
- Prangishvili, A. S., Sherozia, A. E., & Bassin, F. V. (Eds.) (1985). *The unconscious: nature, functions, methods of study*, Vol. IV. Tbilisi: Metsniereba.
- Rollins, N. (1978). Consciousness, unconsciousness and the concept of repression / Prangishvili A. S., Sherozia A. E., & Bassin F. V. (Eds.). *The unconscious: nature, functions, methods of study*. Vol. I (pp. 266-281). Tbilisi: Metsniereba.

TBILISI SYMPOSIUM ON THE UNCONSCIOUS - A SHORT RETROSPECTIVE

Irakli Imedadze

Tbilisi State University

Abstract

Already 40 years have passed since a large-scale Tbilisi international symposium on the unconscious was held, which aroused a great interest in the psychological community due to the fact that all the major issues related to the unconscious were discussed. A productive dialogue took place between the representatives of psychoanalysis and Dimitri Uznadze's school of psychology. The present article highlights the key points of difference between these two approaches to the unconscious. It also covers some details concerning the preparation of the symposium and the way it was held. Also, the article explains why the symposium was organized in Tbilisi. The above context is used to show that D. Uznadze's Set Theory is the only general psychological conception in the Soviet psychology which represents a coherent system of ideas about the unconscious psyche.

Key words: Tbilisi symposium, the unconscious, psychoanalysis, the Theory of Set.

Scientific circles, and, especially, the community of psychologists, know Georgia as the country where Dimitri Uznadze developed his general psychological theory which was further elaborated for several decades by the school of psychology founded by D. Uznadze. Even though Georgian psychologists have hosted many national and international scientific forums, the international symposium dedicated to the psychological unconscious can be considered an outstanding event. The symposium was held in Tbilisi, October 1979. About 150 invited participants from 17 countries and many more from different scientific centers of the Soviet Union participated in the symposium. Today these numbers might not sound very impressive, but if we take into consideration the historical context, the fact that Georgia, as a Soviet republic was separated from the rest of the world by the 'iron curtain', the forum of psychologists held at the international level acquires a very special meaning. It has to be noted that the list of participants was not limited to the psychologists from the so-called 'socialist camp', but also included guests from the western countries like Austria, the US, West Germany, England, Ireland, Italy, Canada and France. Another interesting point is that many participants belonged to the psychoanalytic school, i.e. the school representing a totally unacceptable ideology for 'Soviet psychology', the fact that turned the symposium into a truly unique event.

It took Georgian psychologists five years to organize the symposium. Three volumes of the symposium materials were published in 1978 (edited by T. Bassin, A. Sherozia and A. Prangishvili, who also chaired the symposium meetings) (Prangishvili, Sherozia & Bassin, 1978). Volume IV, published in 1985, mostly contained the comments on the materials included in the three volumes and the participants' impressions (Prangishvili, Sherozia & Bassin, 1985). It has to be emphasized that these four volumes have still preserved their scientific importance. The primary reason is that they contain almost all the principal issues related to the unconscious, including almost all the fundamental theoretical ideas about the nature of the unconscious, general research methodology and individual research methods. The problems of the unconscious are approached from different perspectives and concern its neurophysiological mechanisms, clinical and abnormal aspects, special states of consciousness (sleep and dreaming, hypnosis), relationship between personality and the unconscious, speech and the unconscious, creativity and the unconscious, etc.

After the 1910 Boston symposium, the Tbilisi symposium was the second international forum devoted to the in-depth discussion of the fundamental issues of the unconscious. Distinguished scientists participating in the Boston discussions expressed different opinions regarding the unconscious, but there were united by one thing which was the rejection of the Freudian understanding of the unconscious (Бассин, 1968). Neither Freud nor his followers participated in the discussions. Contrary to that, different psychoanalytic perspectives were well represented at the Tbilisi symposium. Dialogues and debates with the psychoanalytic schools made the symposium especially important and interesting. Uznadze's Set Theory was the main opponent of psychoanalysis. It has to be noted that in that period this theoretical system was actually considered a Soviet alternative to psychoanalysis (Brozek, & Slobin, 1972; Graham, 1987), which was the primary reason for arranging the symposium in Tbilisi. It should be emphasized that the representatives of Uznadze's school of psychology had to make enormous efforts to ensure the recognition of Uznadze's ideas by Soviet psychology.

The Theory of Set, its scientific and, especially, ideological status was the theme of the public discussions held in the 1950-1960s. The articles that appeared in the same period in the central psychological journal were devoted to the same debatable issues (Богданчиков, 2015). Although the scientific value of the theory was quite obvious, the Marxist character of Set Theory was seriously questioned by those colleagues who were experts in 'ideology'. Incidentally, their suspicions were not groundless. The thing is that 'Soviet psychology' was based on Marxism – Leninism as a political ideology, whereas the Theory of Set was not.

'By its origin (there is no ground to argue that the Theory of Set originated from the Marxist philosophy) and content this direction formed and developed for quite a long time independently from Marxism <...> We can only speak about some 'inserts' that appeared later when the Theory of Set was already a developed theory and was established as a school.' (Богданчиков, 2014, с.132-133). Among other aspects, the uniqueness of the theory is in its relative freedom from an ideological burden, which makes it an example of minimal compromise with the Soviet ideology. Anyway, in the discussions mentioned above, Uznadze's followers managed to 'present' their ideas in a politically acceptable form and the school continued to function successfully despite a real threat of its annihilation, which was also faced by Soviet Freudian approach, paedology or psychotechniques (Имедадзе, 2015).

Having been recognized and legitimized, the Theory of Set found its appropriate place and filled a certain gap in Soviet psychology which had been formed due to the absence of the category of the unconscious. We can make a somewhat arbitrary statement that the field of psychology is the domain of four major categories: behavior, personality, consciousness and the unconscious. Any comprehensive general psychological conception is supposed to cover the above four categories. The major theory of Soviet psychological systems were limited to the first three categories. The psychological unconscious was either associated with physiological processes or the fact of its existence was merely stated. For example, in his article on the unconscious, L. Vygotsky, actually, limited himself to the statement that psychology studies the psyche as a complex and integrate psycho-physiological process 'which is not identical to its conscious part. Therefore, <...> it is legitimate to speak of the psychological unconscious: the unconscious is potentially conscious.' (Выготский, 1982, с. 14). Vygotsky's numerous followers also realized that a general psychological system cannot be considered perfect without the category of unconscious. Not long ago, E. Zavershneva, a distinguished researcher, made an enormous effort to extract from Vygotsky's publications and archives ideas about the nature of the unconscious, but her exercise turned out to be futile (Завершнева, 2017). One cannot find what does not exist, and the same applies to A. Leontyev's Activity Theory.

S. Rubinstein's ideas about the unconscious are more concrete compared to those of Vygotsky, but they are not developed enough to reach a theoretical level. According to Rubinstein, the unconscious should be understood as 'the experience in which the object evoking the given experience is not conscious' (Рубинштейн, 1940, с. 8). The unconscious nature of emotion is manifested in the fact that it is impossible to link it with the person or the object that has evoked the given emotion. For example, if I am in a bad mood, and, at the same time, don't know the reason, this state of mind should be identified as unconscious. It can be stated without any hesitation that both Freud and Uznadze considered the attempts of searching the unconscious in consciousness unproductive.

In short, a general psychological concept of the unconscious did not exist. After the eradication of Soviet psychoanalysis, the only coherent system of the unconscious, in which the unconscious is understood as the foundation of the entire mental life, can be only found in Uznadze's and his school's works (Angelini, 2008) and Bassin was the first to fully comprehend it (Бассин, 1968). So, it is not surprising that he was one of the main initiators of the Tbilisi conference on the unconscious. We should also note A. Shorozia's vast contribution to the arrangement of such a grand scientific event.

D. Uznadze started to criticize Freud's ideas in the 1920s, i.e. at the starting stage of the development of his own theoretical system. His critical assessments were still present in the late works (უზნაძე, 2004). This is natural because the category of the unconscious was central for Uznadze and psychoanalysis was the most dominant theory of the unconscious. It has to be emphasized that as opposed to the majority of his Russian (Soviet) colleagues, Uznadze's critical analysis was free from ideological subjectivism and was only based on scientific and logical arguments (იმედაძე, 2013).

Here we give a brief description of Uznadze's viewpoint. Uznadze was looking for the starting phase of the development of psyche, the phase which precedes and determines the entire mental activity. This implies standard experience (mental processes) as well as consciousness. The weakest

point in Freudian approach is that the unconscious is described only in negative terms, as the negation of consciousness. Freudian unconscious is the same as conscious experience, which has been removed from consciousness and now exists in the form of experience deprived of consciousness. Its internal nature and structure are identical to consciousness. Such unconscious is mental experience minus consciousness. This viewpoint assumes the existence of unexperienced experience, which, according to Uznadze, is nonsense. Uznadze categorically rejected the idea of the unconscious psyche and put forward new important ideas, instead. In particular, Uznadze believed that even if the Freudian understanding of the unconscious was appropriate, it would not be productive for the explanation of mental development. The development of psyche or mental development was in the focus of Uznadze's interest in the late period of his activity. He believed that the solution of this problem required the assumption of 'some kind of psyche' which would be different from its normal conscious or unconscious forms (i.e. experience), would precede and determine these forms of experience in phylogenies, ontogenesis and actualgenesis. As far as the primary source of the repressed unconscious, the precondition of its formation is consciousness, it cannot explain the development of consciousness and cannot be considered the primary form of mental organization logically or factually.

Despite such a theoretical flaw, psychoanalysis has undeniable practical achievements. In Uznadze's opinion, in the cases of successful treatment Freud really managed to touch upon something that determines the formation of neurotic symptoms. But he could not uncover the true mechanism of disease and described it only in negative terms, as repressed unconscious experience. What psychoanalytic therapy really deals with is Set because it is a real unconscious psychological fact.

Such is Uznadze's evaluation of Freud's theory. It has both positive and negative aspects. On the one hand, Uznadze showed that the Freudian understanding of the unconscious was inappropriate, because 1. It assumes the existence and action of experience beyond the field of consciousness; 2. The unconscious is equated with the repressed psyche which is formed from consciousness and, therefore, cannot be used for the explanation of mental development. On the other hand, Uznadze pointed out the concept of set which should replace the unconscious. In general, Uznadze identified the unconscious with set. In his opinion, the unconscious was a redundant concept and could be replaced with the clearer concept of set. One of the subtitles in Uznadze's last book is 'The unconscious is a redundant concept.' (უზნაძე, 2004).

It should be mentioned that such a statement sounds a bit too much categorical. It is quite clear that phenomenal and unconscious set does not fully overlap the field of unconscious processes. We can think of animal psyche in this context. For example, animals experience emotions, but they don't have consciousness. In addition, in his works Uznadze describes the first level of mental life. It is the level of impulsive behavior which is performed without the participation of consciousness (objectification) and requires an underlying set itself. Therefore, the unconscious does not seem to be a redundant concept. With this fact taken into consideration, we need a classification of unconscious processes which would include both conscious and unconscious phenomena (Imedadze, 2017).

Thus, for Uznadze the problem related to the unconscious can be, in fact, translated into the justification of non-phenomenal psyche. This makes it significantly different from psychoanalytic approach which describes the unconscious in terms of normal conscious experience. Contrary to

the above, Uznadze's set refers to a totally different ontological reality, totally different psyche. We should also keep in mind that Uznadze's concept of set and Freud's concept of unconscious are key categories in completely different theoretical systems and acquire meaning only within the context of the corresponding system, as a whole. That is why, one cannot so easily replace the psychoanalytic unconscious with Set, even though at the Tbilisi symposium the concept of set was interpreted as our (Soviet) alternative to the psychoanalytic unconscious.

All the above created serious obstacles to the dialogue between these two approaches. In addition, most representatives of psychoanalysis and other directions of depth psychology learned about the Theory of Set only at the symposium. For many of them it was a real discovery. Among the participants there were also researchers with a distinct personal viewpoint, knowledgeable about the interrelationship between these two approaches (Ansbacher, 1978; Chertok, 1981; Rollins, 1978). Frankly speaking, no-one expected that the symposium would solve the problem of the unconscious and the participants would change their viewpoints. Nevertheless, discussions around different opinions and issues were definitely useful, which was clearly revealed in all the comments. Therefore, we can say without hesitation that the symposium was definitely successful. The above mentioned four volumes of the symposium materials are enough proof of the success. The four volumes are still valuable for any library due to the fact that they have not lost their scientific significance. The symposium seriously stimulated interest in the unconscious among Soviet scientists (Angelini, 2008). It raised the awareness of the Georgian school of psychology and may have even reached its climax. In the decade following the symposium the Georgian psychological school was very well represented at the international level. Unfortunately, due to political and economic factors the situation dramatically changed after the 1990s and the Georgian school's productivity and its international presence sharply diminished.

The psychological community as well as other scientific associations actively responded to the symposium. The symposium outcomes were discussed at a specially organized meeting in San-Francisco (1980), the Munich International Conference of the German Academy for Psychoanalysis (1980) and the New-Orleans Conference of the American Psychiatric Association (1981) (Бахтадзе-Шерозия, 1985).

Out of the numerous responses I will cite only two of them. One is an excerpt from the letter of the distinguished linguist and psycholinguist R. Jakobson to the President of the Academy of Sciences of Georgia. 'From now on the Georgian school of psychology with its remarkable Theory of Set has firmly established a stable place in the international domain of ideas. <...> Personally for me, this symposium will always remain a deep, unforgettable memory.' The President of the German Academy for Psychoanalysis G. Ammon wrote: 'The symposium outcomes will become evident in the near future and will take the form of the opportunity of joint and mutually correcting work. Dimitri Uznadze's school must play its positive role and influence the western psychoanalysis. Psychoanalysis, on its part, may help it with the facts accumulated for decades.' (Бахтадзе-Шерозия, 1985, с. 146).

Finally, it should be noted that there is a dramatic decline in the entire science of psychology in terms of the elaboration of the category of the unconscious. Except for psychoanalysis, other conceptions of depth psychology and Uznadze's theory (maybe P. Janet is another exception), there is no coherent system of opinions within which a broad range of issues on the nature and functioning

of the unconscious has been elaborated. The modern academic psychology is quite skeptical about psychoanalysis, but it cannot offer anything productive instead. Presently dominant cognitivism is actually limited to the investigation of the individual phenomena of subsensory and perceptual defences and to modest statements according to which cognitive activity mainly proceeds unconsciously (which, was well-known by Würzburg School already one hundred years ago). Given the present state of affairs the systemic theoretical and experimental research on mental processes and the unconscious regulation of behavior conducted for many decades by Uznadze's school of psychology might prove to be quite productive. Moreover, this kind of research needs to be continued due to the fact that the potential of the general psychological theory of set has not been fully used yet.

References:

- უზნაძე დ. (2004). განწყობის ფსიქოლოგია [Theory of Set]. თბილისი: კოლორი.
- იმედაძე ი. (2013). ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის შედარებითი ანალიზი [Comparative Analysis of Psychoanalysis and the Theory of Set]. ი. იმედაძე თეორიული ფსიქოლოგია. თბილისი: Carpe diem.
- Бассин, Ф. В. (1968). Проблема бессознательного [The Problem of the Unconscious]. Москва: Медицина.
- Бахтадзе-Шерозия, Н. В. (1985). Тбилисский международный симпозиум по проблеме бессознательного / Prangishvili A.S., Sherozia, A.E., & Bassin F.V. (Eds.). The Unconscious: Nature, Functions, Methods of Study. Vol. IV (pp. 140-148). Tbilisi: Metsniereba.
- Богданчиков, С. А. (2014). Школа Узнатде в системе советской психологии [Uznadze's School within the System of Soviet Psychology]. Вопросы психологии, 3, 131-141.
- Богданчиков, С. А. (2015). Школа Узнатде в контексте советской психологии [Uznadze's School in the Context of Soviet Psychology]. Вопросы психологии, 5, 106-116.
- Выготский, Л. С. (1982). Психика, сознание, бессознательное [Mind, Consciousness, the Unconscious]. Собрание сочинений: В 6 т. Т.1. (С. 132-148). Москва: Педагогика,
- Завершнева, Е. Ю. (2017). К определению понятия «бессознательное» в культурно-исторической психологии Л. С. Выготского [The Definition of the Notion of the Unconscious in L.S. Vygotsky's Cultural Historical Psychology]. Вопросы психологии, 3, 102-118.
- Имедадзе И. В. (2015). Школа Узнатде: штрихи к истории [Uznadze's School: Additional Outline of History]. Вопросы психологии, 2, 120-130.
- Рубинштейн С. Л. (1940). Основы общей психологии [The Foundations of General Psychology]. Москва: Гос. Уч.-Пед. Изд-во.
- Angelini, A. (2008). History of the Unconscious in Soviet Russia: From its origins to the fall of the Soviet Union. The International Journal of Psychoanalysis. 89 (2), 369-88.
- Ansbacher, H. L. (1978). Alfred Adler's Views on the Unconscious / Prangishvili A. S., Sherozia A. E., & Bassin F. V. (Eds.). The Unconscious: Nature, Functions, Methods of study. Vol. I (pp. 370-383). Tbilisi: Metsniereba.

- Brozek, J., & Slobin D. I. (1972). *Psychology in the USSR: A Historical Perspective*. New York: International Arts and Sciences Press.
- Chertok, L. (1981). Reinstatement of the Concept of the Unconscious in the Soviet Union // *The American Journal of Psychiatry*, 138 (5), 575-583.
- Imedadze I. (2017). Theory of Set and Types of Unconscious Psyche / *Proceedings of 6th International Conference on the Current Issues in Theoretical and Applied Psychology* (pp. 690-694). Erevan: Edit Print.
- Graham L. R. (1987). *Science, Philosophy and Human Behavior in the Soviet Union*. New York: Columbia University Press.
- Prangishvili, A. S., Sherozia, A. E., & Bassin F. V. (Eds.) (1978). *The Unconscious: Nature, Functions, Methods of Study*. Vol. I,II,III. Tbilisi: Metsniereba.
- Prangishvili, A. S., Sherozia, A. E., & Bassin, F. V. (Eds.) (1985). *The Unconscious: Nature, Functions, Methods of Study*. Vol. IV. Tbilisi: Metsniereba.
- Rollins, N. (1978). Consciousness, Unconsciousness and the Concept of Repression / Prangishvili A. S., Sherozia A. E., & Bassin F. V. (Eds.). *The Unconscious: Nature, Functions, Methods of Study*. Vol. I (pp. 266-281). Tbilisi: Metsniereba.